

საზოგადოებრივი კოლეჯი  
„კავკასიონი“

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და  
შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

„ვამტკიცებ“  
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს  
დირექტორი რ. ლომაია  
ბრძანება №37, 25.03.2017 წელი

---

ქუთაისი 2017

## I. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი

პროფესიული განათლების სტუდენტის კანდიდატი არის პირი, რომელსაც სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით აქვს სრული ზოგადი, ან საბაზო განათლება და წარდგენილი აქვს კოლეჯში სტუდენტის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელი დოკუმენტაცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, ხანგრძლივობა, გადასახადის ოდენობა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, განცხადებების მიღებისა და დასრულების ვადები. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ, (კოლეჯის ვებ-გვერდზე) განცხადებების მიღების ვადამდე არა უგვიანეს ორი კვირით ადრე.

კოლეჯში პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის მინიჭება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აპლიკანტების საბუთების მიმღები კომისია ამოწმებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და სრულად წესრიგის შემთხვევაში განსახილველად გადასცემს დირექტორს.

პირს ენიჭება სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ და მისთვის სტუდენტის სტატუსი მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან. არასრულწლოვანის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევაში ხელშეკრულებაზე ხელს აწერს მათი ნდობით აღჭურვილი პირი.

სტუდენტის მონაცემები შეიტანება კოლეჯის სტუდენტების მონაცემთა ბაზაში, სტუდენტთა მონაცემები გადაეცემა ს.ს.ი.პ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით..

დაუშვებელია სტუდენტის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა კოლეჯის დირექტორის ბრძანების გარეშე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ყოველგვარი გამოცდის და გასაუბრების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

ჩარიცხულმა სტუდენტმა ხელშეკრულების გასაფორმებლად კოლეჯის ადმინისტრაციაში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) საბაზო/საშუალო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;
- დ) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების სერტიფიკატი.

აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე კომპლექტდება სტუდენტის პირადი საქმე, რომელიც გარდა ზემოთ აღნიშნულისა უნდა შეიცავდეს კოლეჯსა და სტუდენტს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებას.

## II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის მოტივით, ან მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. სადაც მითითებული უნდა იქნეს სტატუსის შეჩერების საფუძველი და ვადა.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებები შეიტანება მონაცემთა ბაზაში.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ განიხილება საკითხი სტატუსის აღდგენის თაობაზე, რომელიც გაფორმდება დირექტორის ბრძანებით სტატუსის აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე და მონაცემთა ბაზაში დაფიქსირდება შესაბამისი ცვლილება.

სტატუსის აღდგენის საკითხი წყდება იმის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელია სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული პროგრამების აღიარებით სტუდენტის მიერ არჩეულ მიმართულებაზე შემდგომში სწავლის გაგრძელება, რაც ცნობილი უნდა იყოს განმცხადებლისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება (აღდგენა) დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა) პირადი განცხადებით;

ბ) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, დავალიანების დაფარვის შემდეგ;

გ) აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემთხვევაში

დ) აკადემიური მოუსწრებლობის და გაცდენების შემთხვევაში, გაცდენილი მეცადინეობები აღდგენისა და გაცდენილი გამოცდების ჩაბარების შემდეგ;

კოლეჯისთვის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი უჩერდება 5 წლით.

## III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს მხარეთა შორის ხელშეკრულების პირობების საბოლოო შეჩერებას და ხელშეკრულების გაუქმებას.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება შესაბამის საფეხურზე;

ბ) პირადი განცხადება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების და ხელშეკრულების მოთხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა;

დ) კოლეჯის წესდების და შინაგანაწესის მოთხოვნების სისტემატური ან ერთჯერადი უხეში დარღვევა;

- ე) უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო
- ვ) მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენი;

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, რაც ფორმდება დირექტორის ბრძანებით და შესაბამისი ცვლილებები შეიტანება მონაცემთა ბაზაში, პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება, ხოლო სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი სწავლის ღირებულების თანხა მას არ უბრუნდება.

#### **IV. პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი**

კოლეჯი, მისთვის განსაზღვრული სტუდენტთა მიღებისათვის თავისუფალი ადგილების ფარგლებში, განსაზღვრავს ადგილებს მობილობით სტუდენტების მისაღებად.

სტუდენტთა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, წარმოუდგენს დირექტორს წინადადებას მობილობით სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზედაც მიზანშეწონილია მობილობით სტუდენტების მიღება.

მობილობით სტუდენტების მიღებისათვის განსაზღვრული ადგილები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

#### **მობილობის თაობაზე ინფორმაციის საჯაროდ განთავსება**

კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით საჯაროდ ცხადდება ინფორმაცია მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების და ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელზეც გამოცხადებულია მობილობით სტუდენტების მიღება.

#### **მობილობის მსურველთა რეგისტრაცია**

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დადგენილ ვადაში შეიტანოს განცხადება მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე, აგრეთვე წარმოუდგინოს მას სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე აქვს უფლება სწავლა გააგრძელოს სხვა სასწავლებელში, კოლეჯში დადგენილი წესის შესაბამისად.

მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, თუ: არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განვლილი საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის ნაწილი თავსებადია ერთმანეთთან;

სხვა პროფესიულ სასწავლებელში მობილობის განსახორციელებლად საჭიროა ორივე სასწავლებლის დირექტორის თანხმობა; პროფესიული პროგრამების თავსებადობა. დადებითი პასუხის შემთხვევაში მიმღები საგანმანათლებლო დაწესებუ-

ლება გამოითხოვს საგანმანათლებლო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა სასწავლებელში და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაციას. სასწავლო ნაწილი დაადგენს პროგრამულ თავსებადობას და სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე დირექტორთან გაუწევს რეკონმენდაციას სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ამ დებულებით დადგენილი პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ბრძანებას, სტუდენტის სხვა სასწავლებელში გადასვლასთან დაკავშირებით.

განცხადების ფორმა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მობილობით სტუდენტები მიიღება რიგითობის მიხედვით, როცა ვაკანტური ადგილები შეივსება სტუდენტების საბუთების მიღება შეწყდება.

## **V. მიღებული განათლების აღიარების წესი**

### **საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები**

საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ათვისებული კრედიტებისა და სწავლების შედეგების შედარებას კოლეჯის, პროგრამასთან, რომელზედაც პირი აგრძელებს, თუ ანახლებს სწავლას.

### **საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პირობები**

პროგრამის აღიარება ხორციელდება კოლეჯში აპლიკანტივის სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ.

პროგრამის აღიარება ხდება სტუდენტის პირადი საქმის შესწავლით და სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებით.

კოლეჯის სასწავლო ნაწილის გადაწყვეტილებით, პროგრამის აღიარებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამა ან/და სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)/მოდული, რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს.

სტუდენტის მიერ გავლილი საგნების/მოდულების და მათი სწავლის შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ეკვივალენტობა სტუდენტის მიერ გავლილი დისციპლინისა/მოდულისა და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინას/მოდულს შორის.

პირის მიერ გავლილი დისციპლინა/მოდული, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კოლეჯის პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნას როგორც არჩევითი სასწავლო დისციპლინა/მოდული.

კოლეჯი უფლებამოსილია თავისი სამართლებრივი აქტით განსაზღვროს კოეფიციენტები, რომელთა შესაბამისად განხორციელდება სტუდენტის მიერ გავლილი საკონტაქტო საათების კრედიტებში გაანგარიშება იმ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული საკრედიტო სისტემის შესაბამისად.

სასწავლო ნაწილის მოტივირებულ გადაწყვეტილებაში პროგრამის აღიარების შესახებ დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამოებები სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამისა/მოდულსა და კოლეჯის პროგრამას/მოდულს შორის.

მოდულური პროგრამებზე სწავლის დაწყებისას, თუ აპლიკანტს დამთავრებული აქვს ქართულენოვანი სკოლა, მაშინ მოხდება ქართული ენის მოდულების პირდაპირი აღიარება. მიმღები კომისიის წარდგინებით დირექტორი გამოსცემთ შესაბამის ბრძანებას.

### **შიდა მობილობა და განათლების აღიარება**

სწავლის პროცესში არჩეული პროფესიული პროგრამების შეცვლა დასაშვებია განსხვავებული კრედიტების გონივრულ ვადაში ათვისების შესაძლებლობით, რაც ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

იმ შემთხვევაში თუ პირს სურს ერთ რომელიმე საფეხურზე მიღებული ცოდნის, უნარ-ჩვევების აღიარება, იგი დასტურდება შესაბამისი დიპლომის გაცემით.

პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე გაიცემა დიპლომი, მოთხოვნის შემთხვევაში. ხოლო დამამთავრებელი საფეხურის დასრულების შემდეგ - სავალდებულოდ;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შეიქმნება საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც შეისწავლის სტუდენტის მიერ კრედიტების ათვისების შედეგებს და მას რეკომენდაციას გაუწევს დირექტორთან კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. საბოლოოდ დირექტორი ბრძანებით ანიჭებს კვალიფიკაციას სტუდენტებს და გასცემს შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომს.

სტუდენტებზე გასაცემი დიპლომის ბლანკები დადგენილი წესით აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, ეძლევა სარეგისტრაციო ნომერი, მოწმდება დირექტორის ხელმოწერით და კოლეჯის ბეჭდით.

გაცემული დიპლომების შესახებ მონაცემები შეიტანება საინფორმაციო ბაზაში, ხოლო დოკუმენტაცია, დადგენილი წესით, ინახება კოლეჯში, შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.